08/12/2019

მეუფე მელქისედეკი – მხარს ვუჭერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას

მხარს ვუჭერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, – ამის შესახებ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩემი პოზიცია მგონი, ყველამ იცით, მხარს ვუჭერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას", – აღნიშნა მეუფემ.

რაც შეეხება წმინდა სინოდის სხდომას, როგორც მეუფე ამბობს, კონკრეტული თარიღი, როდის ჩატარდება სინოდის სხდომა, მისთვის უცნობია. მეუფე მელქისედეკის თქმით, ამას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე გადაწყვეტს.

„წმინდა სინოდის მოწვევა არის მისი უწმინდესობის პრეროგატივა, როგორც ჩათვლის

მისი უწმინდესობა საჭიროდ, ისე იქნება“, – განაცხადა მეუფე მელქისედეკმა.

— 1tv.ge